სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

12206685780824

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240823834

რეგისტრაციის თარიღი

01.07.2024 წ

ნოტარიუსი: მედეა დემეტრაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, გობრონიძის ქუჩა N 2
ტელეფონი: (+995)597323 000; 2-57-55-50

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის პირველ ივლისს მე, საქართველოს ნოტარიუსს მედეა დემეტრაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გობრონიძის #2, მე-2 სართულზე, მომმართა: **შპს ესთეტიკური ცენტრი აკადემია ლე მანონ-ის დირექტორმა მანანა აბულაძემ (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი:** B24036018, 21/03/2024 14:42:11, **რეგისტრაციის თარიღი: 21/03/2024, საიდენტიფიკაციო კოდი 400388282), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება** მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მანანა აბულაძემ (10.10.1970წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ომარ ხიზანიშვილის ქ. N 8 ბ. 58, პირადი 01021006610)** მომმართა. მე დავადგინე მოქალაქის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. პირადად წავუკითხე მინდობილობის ტექსტი გამოცხადებულ პირს, მარწმუნებელმა ასევე წაიკითხა ეს მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი მინდობილობის ყველა ეგზემპლარს.

მინდობილობა

მე, მანანა აბულაძე (10.10.1970წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ომარ ხიზანიშვილის ქ. N 8 ბ. 58, პირადი 01021006610) როგორც შპს ესთეტიკური ცენტრი აკადემია ლე მანონ-ის დირექტორი(თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24036018, 21/03/2024 14:42:11, რეგისტრაციის თარიღი: 21/03/2024, საიდენტიფიკაციო კოდი 400388282), შემდგომში "მარწმუნებელი", თეონა სიჭინავას (დაბ.03.02.1989წ, მისამართი გულრიფში ს. გულრიფში პირადი ნომერი 62004024187), შემდგომში „რწმუნებულს" ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ, რომ იყოს შპს ესთეტიკური ცენტრი აკადემია ლე მანონ-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 400388282) წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში (მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში,მერიის არქიტექტურის სამსახურში) საჯარო სამსახურებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, სამშენებლო კომპანიებთან, სარემონტო კომპანიებთან, კომუნალური მომსახურების სამსახურებში,ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში,გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სატრანსპორტო სამსახურში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში,მათ დაქვემდებარებაში ნებისმიერ დაწესებულებებში, რათა შპს ესთეტიკური ცენტრი აკადემია ლე მანონ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 71 საოფისე ფართი N1(მშენებარე) სადარბაზო1,სართული2, 126.90 კვ.მ. საკადასტრო კოდიN 01.12.13.089.003.01.03.001 განახორციელოს მშენებლობასთან და რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედებები, აწარმოოს მოლაპარაკებები საჭიროებიდან გამომდინარე ყველა ზემოაღნიშნული ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლებთან, შეადგინოს აზომვითი ნახაზები, შეადგინოს საპროექტო დოკუმენტები,საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება, აწარმოოს მშებელობასთან/დანგრევასთან/სარემონტო სამუშაოებთან/კომუნალურ სამუშაოებთან,/ რეკლამის განთავსებასთან, ობიექტის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხები, მიიღოს ექსპლოატაციაში ჩაშვების ნებართვა, ნებისმიერი სხვა სახის ნებართვა, სპეცნებართვა. ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, ელექტრონულად მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, განახორციელოს სამშენებლო პროექტის ცვლილებები(გადავადება, პროექტის შეცვლა) ამასთან დაკავშირებით ჩემი სახელით განაცხადოს თანხმობები, გამოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულება-ორგანიზაციიდან საჭიროებიდან გამომდინარე. ნებისმიერ დოკუმენტს მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მარწმუნებელს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

მინდობილობა გაცემულია და ძალაშია 2024 წლის 01 (პირველი) დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #5073 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები) 31–ე მუხლის საფიძველზე გადასახდელია 30.0 (ოცდაათი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად ასევე, 39–ე მუხლის საფუძველზე გადახდილია 5.0 (ხუთი) ლარი რეგისტრაციის საფასური.

შპს ესთეტიკური ცენტრი აკადემია ლე მანონ-ის დირექტორი მანანა აბულაძე _____

საქართველოს ნოტარიუსი მედეა დემეტრაშვილი

